პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 თებერვალი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 40 (9707) ◎ ფასი 2 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ღმუნებლობის გზით

ა. ჩხეიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

...ართულ მიწა-წყალზე მოვიდა ...ელი დღესასწაული. რესპუბლი... ...ღნიშნავს საბჭოთა ხელისუფ... ...ების გამარჯვებისა და საქართვე... ...ს კომპარტიის შექმნის 67-ე ...ხთავს. სახიბარულოა, რომ თარიღი დაემთხვა ღი... ...შესანიშნავ მოვლენას — ცენტრალური კომიტე... ...პლენუმს, რომელმაც ამ დღეე... დაამთავრა თავისი მუშაობა, ...რომელზეც ღრმად გააანალი... ...გარდაქმნის ახალი ეტაპი, ჩა... ...ყალობეს მისი მთავარი ამოცა... ...ის — რადიკალური ეკონომი... ...რი რეფორმის განხორციელე... ...მთელი საზოგადოებრივი ცხო... ...ების დემოკრატიზაციის, მოზარ... თაობის აღზრდის ამოცანების ...დაწყვეტის იდეოლოგიური უზ... ...ველყოფის პროგრამა.

დღეს, როცა ვიაზრებთ განვ... ...ლი გზის სიდიადესა და მნიშ... ...ლობას, რომელიც აღინიშნა დი... მასშტაბის ძვრებითა და ღრმა ...ლებებით ჩვენი ცხოვრების ...დასხვა სფეროში, ისევ და ...ვ გულითა და გონებით მივმა... ...ვთ დიად სათავეებს, რო... ...ებმაც განსაზღვრეს და განა... ...ობეს ყოველივე ის, რაც შეად... ...ს დიდებასა და სიამაყეს, უყო... ...ზე სანუკვარსა და ძვირფასს ...რთველი ხალხის, ყოველი სა... ...თა ადამიანის ცხოვრებასა და ...ში.

...ეს მარად ცოცხალი სათავეებია ...რქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი ...ძღვრება, რევოლუციურ-გარდა... ...მნელი პრაქტიკით ხორცშეს... ...ული, ოქტომბრის იდეებისა და ...ქმის ძლევამოსილი წინსვლა, ...ლხის უყველაზე საარსებო ინ... ...რესებისა და ლენინის გენიით ...ქმნილ და გამოზრდილ კომუ... ნისტთა პარტიის მრავალმხრი... ვი საქმიანობის ურღვევობა.

დიდმა ოქტომბერმა, რომელ... მაც დასაბამი მისცა ახალი სამ... ყაროს რევოლუციური შექმნის ეპო... ქას, აღნიშნა ძირეული შემობრუ... ნება ქართველი ხალხის ბედშიც, იგი გახდა რევოლუციური ქარი... შხლის დასაწყისი, რომელიც და... სრულდა 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელი... სუფლების გამარჯვებით.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ამ ისტორიული მო... ვლენიდან განვლილი 67 წელი იყო ბრძოლისა და გამარჯვებების 67 ეტაპი, ხალხის ეკონომიკური, სო... ციალურ-პოლიტიკური და სული... ერი სიმწიფის 67 საფეხური.

ვ. ი. ლენინი ყურადღებით, მზრუ... ველად წარმართავდა საბჭოთა საქართველოს პირველ ნაბიჯებს, პოულობდა დროს ჩაწვდომოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლი... კის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ პრობ... ლემებს. საბჭოთა ხელისუფლე... ბის წლებში საქართველოში აშე... ნდა 1400-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო, რომლებიც დღეს უშვებენ ორიათას ხუთასზე მე... ტი დასახელების პროდუქციას, შე... იქმნა მრეწველობის ახალი თანა... მედროვე დარგები, ისეთები რო... გორიც არის შავი და ფერადი მეტალურგია, ელექტროტექნიკური, ქიმიური, ლითონდამამუშავებე... ლი, საავიაციო, მანქანათმშენებე... ლი, ხელსაწყოთმშენებელი დარ... გები.

გმირი მუშათა კლასის შრომითი გმირობის წყალობით საქართვე... ლოს გეოგრაფიულ რუკაზე გაჩ... ნდა ათობით ინდუსტრიული გიგა... ნტი, გარდაიქმნა ქალაქების იერ... სახე, რესპუბლიკის პეიზაჟს მტკი... ცედ შეერწყა მრავალი სამრეწვე... ლო ცენტრი. ამის შედეგად შარშან სამრეწველო პროდუქციის მოცუ... ლობა 435-ჯერ გაიზარდა 1921 წე... ლთან შედარებით. ამჟამად, როცა ძალაში შევიდა კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, როცა დაიწყო გარდაქმნის ახა... ლი ეტაპი, გაფართოვდა სოციალი... სტური მეურნეობრიობის, წარმოე... ბისა და შრომის ორგანიზაციის, კოლექტივის საქმეთა, საზოგადოე... ბის საქმეთა მართვის უველა მხა... რეზე მუშათა უშუალო გავლენის მასშტაბი და გაიზარდა მისი ქმე... დითობა, დღეს ჩვენი მუშათა კლა... სი არის ხიახლის, მოწინავის, პრო... გრესულისათვის ბრძოლის მოთავე, მოქმედებს და აზროვნებს დრო... ის დიდი მოთხოვნების სუ... ლისკვეთებით, გარდაქმნის სუ... ლისკვეთებით, სახელმწიფოებრივად ფართოდ და მასშტაბურად, პერსპე... ქტივის ნათელი ხედვითა და მისი მიღწევის გზების ცოდნით. სწო... რედ ამას მოითხოვს ჩვენგან პა... რტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდე... ვნო პლენუმების გადაწყვეტილე... ბანი.

სოციალისტური მშენებლობის დროს რესპუბლიკაში ინდუსტრიას... თან ერთად ხელახლა, თვისებრივად სხვა საფუძველზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნი... კური ბაზა, რაც გლეხთა შრო... მის ნაყოფიერების მკვეთრად გა... დიდების საშუალებას იძლევა.

საქართველოს სოფლის მშრო... მელები, რომლებმაც მთელი სუ... ლითა და გულით, ღვიძლ საქმედ აღიქვეს პარტიის თანამედროვე

დასასრული მე-2 გვ.

პრეტენდენტ ქალთა ტურნირზე გამარჯვებულების ნანა იოსელიანისა და ელენა ახმეტელაშვილის დამატებითი ბანაკი

ბრძოლა გამძაფრდა

წყალტუბო (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). ორი პარტიის შემდეგ ნანა იოსელიანს ქულანახევარი აქვს და იგი ძალზე ახლოა მიზანთან — სსრ კავშირის ჩემპიონის დარჩენილ ოთხ შეხვედრაში ზუსტად ამდენივე ქულის მოგროვება სჭირდება, მაია ჩიბურდანიძესთან მატჩში მონაწილეობის უფლება რომ მოიპოვოს. შედარებით რთულ მდგომარეობაშია ელენა ახმეტელაშვილი, რომელმაც სანუკვარ მიზნის მისაღწევად უსათუოდ 3 ქულა უნდა „აიღოს“.

ამ ვითარებამ განსაზღვრა დამატებითი მატჩის III პარტიის ბედი. შეხვედრა უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. იოსელიანმა თეთრებით აქტიურად დაიწყო თამაში, დაფაზე კარგად განალაგა ფიგურები და პაიკიც მოიგო. მისი პოზიცია უფრო პერსპექტიული ჩანდა. მაგრამ ამ დროს ...საქმეო ...ცდომა ...მელმა ...ართა თავ... მან ...ა გა... პაიკი დაიბრუნა. ნელ-ნელა ...დმეტ- პაიკიც დაიმ... შეუპოვრად ...ცდა თავს და შე... ორე ...ებრივი ...გრძნობილად გამოიწვია მეტოქე... რობა. თუმცა გადაწყვეტილ პარტიაში მატერიალურ და ...ობრივ უპირატესობა მაინც ...ელენე ახმეტელაშვილს ...ანარჩუნებდა.

გუშინ...

ხაღამის პოლუსი გადაღებული პარტიის დამთავრება. შეტოქეები 76-ე სვლაზე უკიდურესად ამრიგად ანგარიში გახდა 2:1 ნანა იოსელიანის სასარგებლოდ.

„ლელოს“ საკონსულტაციო პუნქტი გთავაზობთ



ს ფოტოსურათი გადაღებულია თბილისში, სმენადაქვეითებულ ბავშვ... ...ა სკოლა-ინტერნატში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე, რო... ...ელიც ჩაატარეს სპორტსაზოგადოება „დინამომ“ და პროფკავშირე... ...ის სპორტულმა საზოგადოებამ. იხ. მე-2 გვ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

როგორც ვიუწყებოდით, „ლელოში“ გაიხსნა საკონსულტაციო პუნქტი, რომლის მიზანია დასვენების დღეებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი ღონისძიებების ჩატარების შესახებ რეკომენდაციები მიაწოდოს ფიზკულტურულ კოლექტივებს და სპორტულ კლუბებს. მაშ ასე: ზამთარი ისევ ძალაშია და უქმე დღეებში სუფთა ჰაერზე, ქათქათა თოვლზე აქტიურ დასვენებას რა სჯობს. აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, დასავლეთ საქართველოს და სამხრეთ საქართველოს რეგიონების ფიზკულტურულ კოლექტივებს შეუძლიათ შაბათ-კვირისთვის დაგეგმონ მასობრივი სათხილამურო ღონისძიებები — ესტაფეტები, ტურისტული გადასვლები, შეჯიბრებები სხვადასხვა დისტანციაზე, მასობრივი სტარტები. სამხრეთ ოსეთმა და მცხეთის რაიონმა გასულ შაბათ-კვირას ჩაატარეს „ზამთრის ზეიმი“. მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში, მაგალითად, ახლა მიმდინარეობს ზამთრის პირველი ოლიმპიადა, რომელიც კალგარის ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება. შესანიშნავი თაოსნობაა.

თბილისის შემოგარენში, კულტურისა და დასვენების პარკებში, კვლავ დევს თოვლი, ასე რომ, დედაქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების წევრებს, მოსახლეობას სამუალება ეძლევათ თხილამურებით ისრიალონ, სუფთა ჰაერზე გაატარონ დასვენების დღეები. კულტურისა და დასვენების პარკებში თხილამურებისა და ციგების დაქირავებაც შეიძლება. ბუნების ნამდვილ მოყვარულებს წელიწადის ყოველ დროს შეხვდებით ტურისტულ ბილიკებზე, თებერვალშიც შესანიშნავი სანახავია მცხეთა და არმაზი, ჯვარი და ზედაზენი, წოდორეთი, ნახშირგორა, სხალდიდი... აირჩიეთ ნებისმიერი მარშრუტი.

მიჰბაძეთ ქუთაისელებს — იქ ყოველ შაბათს და კვირას ტარდება შეჯიბრებები საცხოვრებელ უბნებს შორის, გუნდები კი სპორტულ უყოფილ ჩემპიონებს გამოსაყვანად თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტულ კლუბში შეუძლიათ სპორტული ...რის მეგობრული ...ების ტრადიციის ...ის მეგობრული ...ებრივი შეჯიბრებები ...ლში. სპორტული დარბაზები გამოიყენონ ...ებურთში, კალათბურთში, ...ბურთში, მაგრამ ...ებრივი ...ამჯობესა და უნებლიე შეჯიბრებების ...ატარებლად.

ეს, რაც შეეხება ზოგად თითოებებს. კონკრეტულად ...ულმა კოლექტივმა ...პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა დაგეგმოს ღონისძიებები. მაგრამ დაგეგმოს და ჩატაროს აუცილებლად.

ორგანიზატორებს ყოველი ჩატარებული ღონისძიების შესახებ ...ცნობონ.

ძიუდოს გაკვეთილი გორში

ახლახან მაყურებელი ძიუდოისტთა გამოსვლებს გორში ალბათ ჯერ არ ჰყოლია; ამ დღეებში გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ხალხით გაჭედილ საკტო დარბაზში ჭალები სჭარბობდნენ მამაკაცებს. შეხვედრების ნახვის მსურველნი გარეთაც ბევრნი დარჩნენ, დარბაზმა უველა ვერ დაიტია. ასეთი ინტერესი მხოლოდ კარგი რეკლამით არ იყო გამოწვეული — გორში, პირდაპირ შეიძლება ითქვას — ძიუდოისტთა ქალაქში, პირველ საჩვენებელ გამოსვლას ატარებდა საქართველოს ძიუდოისტ ქალთა ნაკრები.

ქალთა ძიუდომ წარმატებით მოიარა ეროვნული თუ მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებები და თამამად „მიაკაკუნა“ კარზე ოლიმპიურ თამაშებს. სეულში გაიმართება საჩვენებელი გამოსვლები, ხოლო 1992 წელს ბარსელონაში იგი ოლიმპიური ტურნირის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

ჩვენი კვეყნის ძიუდოისტ ვაჟებს, მათ შორის ქართველ ფალავნებს, უველა არსებული ტიტული აქვთ მოპოვებული. აი, ქალთა შორის კი გაცილებით მოკრძალებული წარმატებები გვაქვს და ახლა ავტაციაც და მუშაობაც ამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ მიმდინარეობს.

საქართველოს სპორტსაბჭომის ჰიდაობის სამმართველოს მუშაკების ინიციატივით პირველი ასეთი საჩვენებელი გამოსვლა შარშან ჩატარდა ახმეტაში. ახლა ორგანიზაციული საკითხები სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სპეციალისტებმა მოაგვარეს და გორელებმა, უფროკი ჭალებმა, თავიანთ ...ებელს ქალთა ...ეტო ...ოლეს, რომ ისინიც ...ეველებრივ ...ებს ...ყვნენ და არა ...ლეტები. რომ ...ლდომაც ...კარგად შესძლებიათ და ...ლეთის ...ტრუ... ...ბაც: საჩვენებელი გამოსვლების შემდეგ გაცხოველებული საუბარი გორელთა ძიუდოისტ და მაყურებელ ქალებს შორის გაგრძელდა, რომ გორში ქალთა ჯგუფები გაჩნდნენ.

ხოლო მათი ავტორიტეტები, რომლებიც ამ საქმეს საუფლებით თავებდნენ, წინასწარ იძლეოდნენ წარმატების იმედს: გურამ პაპიაშვილი, ანზორ ქობერიძე, გივი ზუტაშვილი, ბორის გოლოვინსკი... გორში ქალთა ძიუდოს უკეთესის არ უნდა ჰპოვონეს — ასეთი იყო სპეციალისტთა აზრი.

მაყურებლები კი ინტერესით ეცქერდნენ ქეთინო ჩარკვიანის, რუდან ...ტაძის, ნონა სვანიძის, ...ულა ნებიერიძის და სხვების ოსტატობას. წამდაუწუმ გაისმოდა აპლოდისმენტები... მალე ძიუდოისტ ქალების გამოსვლის თბილისში ქუთაისში, ცხინვალში, რუსთავში, ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ახალ ტიპში

თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის შენობაში ახალი ტიპი ჩადგა მწყობრში და ტექნიკუმის მოსწავლეებმა შეჯიბრება სროლის სპორტში კვირეულის პროგრამით, რომელიც საბჭოთა შეიარაღებული ძალების დღეს მიეძღვნა, თავიანთ ბაზაზე ჩაატარეს. ასპარეზობაში 16 ჯგუფის 355 მოსწავლე მონაწილეობდა, მათგან 156-მა ჩააბარა მშდ ნორმატივი სროლაში.

კარლო სალუქვაძე.

27 თებერვალს თბილისის სახელმწიფო ცირკში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ჭართულ ჰიდაობაში ერთმანეთს ხვდებიან: ახალგაზრდა ...ელი (ყვარელი) — გიორგი ...ინდა (საგარეჯო); მეტები (ახალი ...ანდარი (გურჯაანი); ნორიო (ჭარდაბანი) — ბაზალეთი (დუშეთი). დასაწყისი 12 საათზე.

გასულ შაბათს გამართული შეხვედრები ახე დამთავრდა: თბილისი — რუსთავი 7:2, ქარელი — მცხეთა 5:4, ქუთაისი — წუნეთი 4:3.

ალმუნებლობის გზით

(დასასრული)

აგრარული პოლიტიკა, ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ უფრო მეტი ეფექტიანობით გამოიყენონ აგროსამრეწველო სექტორში სულ უფრო მზარდი მოცულობით გაგზავნილი მატერიალურ-ტექნიკური და სხვა რესურსები, აქტიურად, საბართლიანად შეიძლება ითქვას, გმირულად ებრძვიან სტიქიურ ძალებს, რომლებსაც არა ერთი წელია ჩვენს რესპუბლიკას თავს ატეხს ბუნება, და იმარჯვებენ ამ ბრძოლაში. სახოფლო-სამეურნეო წარმოება მტკიცედ დგება ინტენსიფიკაციის რელსებზე, წლითიწლობით იზრდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის მოცულობა.

საყოველთაოდ აღიარებული და კეთილშობილურია ხალხის წიაღში შობილი ჩვენი ინტელიგენციის — მეცნიერებისა და მწერლების, კომპოზიტორებისა და მხატვრების, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა როლი იმაში, რომ ხაქართველო ამჟამად გახდა ქვეყნის ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო და კულტურული ცენტრი, რომელსაც შეაქვს ღირსეული წვლილი მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა საერთო ხაკაშორო საგანძურში. მხარე, სადაც ხაბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსახლეობის 76 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, დღეს თავისი მეცნიერებისა და სპეციალისტების მეცადინეობით ფართოდ და აქტიურად მონაწილეობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უველაზე ხანამედროვე მიმართულებათა განვითარებაში, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების ამოცანათა გადაწყვეტაში. მთელ მსოფლიოში გაუთქვეს ხახელი ხამამულო მეცნიერებას ქართველი მათემატიკოსების, ფიზიოლოგების, ფიზიკოსების, ფსიქოლოგების, ხეიხმოლოგების, ლინგვისტებისა და აღმოხავლეთმცოდნეების ნაშრომებმა. თბილისის ხახელმწიფო უნივერხიტეტის დაარხების 70 წლისთავის დღესახწაული, წელს რომ აღინიშნება, ის დღესახწაულია, რომელიც სცილდება ერთი უმაღლესი ხასწავლებლის ფარგლებს, ეს არის მთელი ქართული მეცნიერების, კულტურის დღესახწაული, მთელი ქართველი ხალხის დღესახწაული.

ხაზოგადოებრივი წარმოების იმ დინამიკური ზრდის ხაფუძველზე, რომელიც განსაკუთრებით ახასიათებს ბოლო ათწლეულებს, ხასიხარულო ძვრები მოხდა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში. რესპუბლიკის ხამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის ერთიორად გადიდდა. გაიზარდა ხახალხო მეურნეობის მუშა-მოხამხახურეთა ხელფახი, მოხმარების ხაზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებები და შეღავათები, ფახიანი მომხახურების, ხაცხლო ხაქონელბრუნვის და ხაცხოვრებლის მშენებლობის მოცულობა.

რესპუბლიკის ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში წარმოქმნილ გარკვეულ ხიძნელეთა პირობებში დადებითი ძვრები მოხდა გასულ წელსაც — მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელს. მრეწველობამ 1986 წლისაგან განსხვავებით, შეახრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით ხამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ხაგეგმო დავალება შეხრულდა 98,2 პროცენტით, რაც 1986 წლის დონეზე მეტია. მთლიანად და გადაჭარბებით შეხრულდა უმნიშვნელოვანეს ხახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმები ნატურალური გამოხატულებით. სულ გეგმის გადაჭარბებით შეხრულდა ხახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალება. სულ გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 110 მილიონი მანეთის პროდუქცია. მაშინ, როცა ხოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული იყო 50 მილიონი მანეთისა. ხაგულისხმოა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია ხამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 92 პროცენტი წლიური დავალებით გათვალისწინებული 81 პროცენტის ნაცვლად.

უაღრესად ექსტრემალური ამინდის პირობების მიუხედავად, ხოფლის მეურნეობაში მთლიანად და გადაჭარბებით შეხრულდა მარცვლეულის, ბაღჩეული კულტურების, პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხისა და მატყლის დამზადების ხაგეგმო დავალებანი.

ხაბჭოთა ხაქართველოს ხაერთო წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ხამხრეთ ოხეთის ავტონომიური ოლქის შრომელებსაც.

კანონიერი ხიამაყის გრძნობა გვეუფლება მიღწეულის გამო, მაგრამ ამახთან შეხანიშნავად გვეხმის, რომ ჯერ კიდევ უველა რეზერვი როდი გვაქვს ხრულად მოქცეული ხამეურნეო ბრუნვაში, ხაქმეში.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმზე აღინიშნა, დღეს სწორედ რევოლუციური განახლების ტემპში, თითოეული პარტიული ორგანიზაციის ხიმწიფე და ბრძოლისუნარიანობა არის ჩვენი მუშაობის ფუძემდებელი კრიტერიუმი.

ახორციელებენ რა პლენუმის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს, ხაქართველოს მშრომელებმა ხაფუძვლიანად მოჰკიდეს ხელი ხაქმეს, რათა ახალ მიჯნებს მიაღწიონ მეთორმეტე ხუთწლედის შეხრულებისათვის, ხაბჭოთა ცხოვრების წესის მაღალი მორალური ნორმების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ძველი მიწა-წყლის ახეთი გარდაქმნა და განაწილება ხაბჭოთა ცხოვრების წესის დამკვიდრება არის დიდი ოქტომბრის იდეების უძლეველი ძალა, განმათავისუფლებელი შრომის უდრეკი შემოქმედებითი ძალა, სხრ კავშირის უველა ერისა და ეროვნების ლენინური მეგობრობის აღმშენებლობითი ძლერება.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ უველაფერი, რითიც მდიდარი ვართ, უველაფერი, რითიც ვამაყობთ, ხოციალიზმის ცხოველმყოფელი ძალის, ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების შედეგია. ხაქართველო არის რესპუბლიკა, ხადაც ერთიან მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ თითქმის 100 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ქმნიან რა თავიანთ რევოლუციურ ისტორიას, ხაბჭოთა ხაქართველოს მშრომელებმა განაცადეს და კვლავ განაცდიან ხახელმწიფო, ხამეურნეო და კულტურული მშენებლობის იმ ღრმა ინტერნაციონალური კურხის კეთილისმყოფელ გავლენას, რომელიც გამხჭვალულია მშრომელი ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, ჩვენი ქვეყნის უველა ხალხის აყვავებისათვის მხურვალე ზრუნვით, უველგან და უველაფერში გრძნობდნენ და გრძნობენ შთამაგონებელ ამხანაგურ მხარდაჭერასა და ურთიერთდახმარებას.

ბევრი რამ კეთდება ჩვენში რუხი, ხომეხი, აზერბაიჯანელი, ქურთი, ბერძენი შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შემოქმედებითი პოტენციალის უკეთ გამოვლენისათვის, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენი კულტურისა და ხელოვნების განვითარებასა და აყვავებაში. იხინი ფართოდ არიან წარმოდგენილი რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირებისა და ხაზოგადოებების გამგეობებში, უურნალებისა და გამომცემლობების ხარედაქციო კოლეგიებში.

ჩვენში მიღებულია ფუნდამენტური გადაწყვეტილებანი რუხული ენის, როგორც ერთაშორისი ურთიერთობის, მხოფლიო და ხაბჭოური ხამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული მიღწევების წვდომის ხაშუალების, შეხწავლისა და ხწავლების გაუმჯობესების პრობლემებზე. ანალოგიური გადაწყვეტილებანია მიღებული ქართული, აფხაზური, ოხური, ხომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული ენების შეხახებაც. უველა ამ ენაზე მიმდინარეობს ხწავლება რესპუბლიკის ხკოლებში.

ქართულ ენაზე ითარგმნება ჩვენი ქვეყნის უველა ენიდან ხაბჭოთა და კლახიკური ლიტერატურის ნაწარმოებები. ფაქტობრივად გამოხაცემად მზად არის აფხაზურ და ოხურ ენებზე მხოფლიო ლიტერატურის მრავალტომიანი ბიბლიოთეკის პირველი ტომები. თავის მხრივ, რუხულ ენაზე გამოდის ქართველ, აფხაზ და ოს ავტორთა წიგნები.

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტი გახაკეთებელია. არავისთვის ხაიდუმლო არ არის, რომ ხახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში ვერ შევძელით დაგვეძლია დახახული დავალებებისაგან ჩამორჩენა, ვერ უზრუნველვყავით წარმოების ხტაბილური და მტკიცე ტემპი. ჯერ კიდევ ბევრი ხაქმოა მრეწველობაში, რომლებიც ვერ ახრულებენ ვალდებულებებს ხელშეკრულებათა მიხედვით. მრავალი ხაწარმოსა და ორგანიზაციის ფინანხური მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. ძირეულად არ გაუჯობესებულა მანქანათმშენებლობა და მხუბუქი მრეწველობის მუშაობა. ხერიოზული ხიძნელენი შეიქმნა რკინიგზის ტრანხპორტში. უკვე რამდენიმე წელია ზედიზედ არ ხრულდება საცხოვრებელი ხახლების ხაექხპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. კვლავ უწინდებურად მწვავედ დგას ხორცის პროდუქციით მოხახლეობის მომარაგების პრობლემა, რაც ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე.

აგროხამრეწველო კომპლექხში წამოიჭრა ბევრი გადაუჭრელი პრობლემა, ხამეურნეო მექანიზმის დიდი შეფერხებებით მუშაობს.

გვაქვს ხერიოზული ნაკლოვანებანი მოხახლეობის ხაყოფაცხოვრებო, ხაბინაო-კომუნალურ, ტრანხპორტო მომხახურებაში, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვაში.

ჯერ კიდევ ვიწყებთ პარტიული, ხახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. კვლავ ჩნდებიან ხაქმოხნები, კომბინატორები, ხხვადახხვა ჯურის მაქინატორები.

რატომ შეიქმნა ახეთი მდგომარეობა? იმიტომ, რომ მთელ ჩვენ ძალებსა და ხახსრებს ვერ მოვუყარეთ თავი უველაზე ძნელ, უველაზე ხუხტ უბნებზე, იმიტომ, რომ მთელ ღირხება. არ ვიმუშაეთ პერხპექტივისათვის, უამისოდ კი შეუძლებელია დაჩქარება. ჩვენს გზაზე ბევრი რამ უნდა უკუვაგდოთ, ბევრი რამ კი თავიდან დავიწყოთ.

მიმდინარე წლის ივნისში მოსკოვში გაიმართება XIX ხაკავშირო პარტიული კონფერენცია. ეკონომიკის დარგში, ხხვა ხფეროებში მთელი ჩვენი მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ კონფერენციაზე წარვხდგეთ კარგი პრაქტიკული გამოცდილებით, რეალური შედეგებით, გამოვიტანოთ ხამომავლო დახკვნები.

ჩვენ ხწორ კურხს — დაჩქარების კურხს ვადგავართ.

(ხაქინფორმი).

სკოლა-ინტერნატები — საერთო საზრუნავი

სხვებმაც უნდა მიბაძონ

ის ხიხარული, რომელიც იმ დღეს განიცადეს ხმენადაქვეითებული და ყრუ ბავშვთა ხკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებმა, ძნელია ხიტყვებით გადმოსცე. თურმე რა ცოტა უოფილა საჭირო იმისათვის, რომ ბავშვები ხიხარულს ეზიარონ, შეიგრძნონ თავიანთი შესაძლებლობები და ირწმუნონ, რომ ისინიც ისეთივე ჩვეულებრივი ბავშვები არიან, როგორც დანარჩენი მათი თანატოლები. და ეს უველაფერი ამ ბავშვებს აჩუქა სპორტმა, აჩუქა სპორტხაზოგადოება „დინამოხა“ და პროფკავშირების სპორტხაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოების ხელმძღვანელობამ, რომლებმაც ამ ღამაზი და დაუვიწყარი ღონისძიების ჩატარება ითავეს.

უველაფერი იმით დაიწყო, რომ რესპუბლიკის სპორტხახკომმა, განათლების და ჯანმრთელობის სამინისტროებმა სპორტხაზოგადოება „დინამოს“ და პროფკავშირების სპორტხაზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოებს ხთხოვეს შეფობა გაეწიათ ხმენადაქვეითებული და ყრუ ბავშვთა ინტერნატების აღხაზრდელებისთვის. იმ დღეს ორივე ინტერნატის მოხწავლეები ხმენადაქვეითებულ ბავშვთა ინტერნატის ხპორტულ დარბაზში შეიკრიბნენ. ზეიმში თავისი წვლილი შეიტანეს თ. ლაკიას ხახელობის ბავშვთა ხპორტული კლუბის წარმომადგენლებმა, რომლებიც ხტუმრად იყვნენ მიწვეულნი. ზეიმი მართლაც ხანაქებო გამოვიდა. „მხიარულ თამაშებში“ ნორჩებთან ერთად მონაწილეობდნენ ორივე ხკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელები და მოხწავლეები. ორგანიზატორებმა — ხპორტხაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოხა და პროფკავშირების ხპორტხაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენლებმა კულტურულ-ხპორტული ღონისძიების მონაწილეებს გადახცეს პრიზები და ხიგელები, დაახაჩუქრეს ხპორტული ფორმით.

რედაქცია დარწმუნებულია, რომ ეს კარგი ღონისძიება არა მარტო ტრადიციად იქცევა, არამედ შეხანიშნავ თაოხნობას მიმდევრებიც გამოუჩნდებიან, ხხვა ხკოლა-ინტერნატებს უნდა მოაკლდეს.

„ლელოს“ კორ.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„არდადეგები შეჯიბრების პერიოდია, მაგრამ...“

7 იანვარს „ლელოში“ გამოქვეყნებული სტატიის („არდადეგები შეჯიბრების პერიოდია, მაგრამ...“) პასუხად გაცნობებთ, რომ 6 იანვარს დაგეგმილი ქალათბურთელთა შეჯიბრების ჩაშლისთვის ოქტომბრის რაიონის სახალხო განათლების სააჭომ თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს თ. უაჭეიშვილს საყვედური გამოუცხადა.

მკაცრად იქნენ გაფრთხილებული 24-ე და 134-ე საშუალო სკოლის დირექტორები ნ. დევდარიანი და ლ. ცნობილაძე, რომლებმაც სკოლის პედსააჭოს ჩატარების გამო 2 საათით ადრე გადაიტანეს დაგეგმილი შეჯიბრება.

მკაცრად იქნენ გაფრთხილებული აგრეთვე კალინინის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი გ. თოხაძე, ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გ. გუგუშაშვილი და თბილისის 42-ე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გ. სამხარაძე, რომლებმაც სკოლის საზაფხულო ღია სპორტულ მოედანზე გეგმით გათვალისწინებული კალათბურთის ფარების დაყენება ვერ მოახწრეს, რის გამოც შეჯიბრების ჩატარება ვერ მოხერხდა.

ვ. ჩიფჩიური,
თბილისის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ნაცნობი სცენარით

თბილისი. კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონი. 23 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა (მოსკოვი) — 77:106 (42:55).

„დინამო“: კაპუსტინი (7), კოლიჩევი (8), სანაძე (13), დერიუგინი (12), ოპოშნიანი (15), დარსაძე (10), ტიუბინი (3), შენგელაია (6), ვაშაკიძე (3).

ცსკა: გორინი (9), ტარაკანოვი (19), ვოლკოვი (25), მიგლინიეკსი (11), პანკრაშკინი (1), ლოპატოვი (4), გობოროვი (17), პოპოვი (9), ბერეუნოი (7), ბაზარევიჩი (2), ენდენი (2).

მსაჯები: ტ. ჰასანოვი (ბაქო), ი. კოვალიოვი (გომელი).

თბილისის სპორტის სასახლის. სარბიელზე ამჟამად საგასტროლო კონცერტებს მართავს უკრაინის მხატვრულ-სპორტული ანსამბლი (ბალეტი ყინულზე), ამიტომ საკავშირო ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ მატჩს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის არმიელ კალათბურთელთა შორის კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონმა უმასპინძლა. ახალი მხოლოდ ეს იყო ამ ორი გუნდის რიგით მესამე შეხვედრაში, რომლებიც თბილისში გაიმართა ამ ჩემპიონატის პროგრამით. უშუალოდ თამაში კი შინაარსობრივად ძალიან წააგავდა ადრინდელ მატჩებს...



არმიელთა კოლექტივმა მასპინძელთა წინააღმდეგ კვლავ აქტიური დაცვა მიმართა, რომლის პირველი „ჯებირი“ ჯერ კიდევ ფარიდან საკმაოდ მოშორებით ხვდებოდათ თბილისელებს. ცსკა-ს უფროსმა მწვრთნელმა სელიხოვმა მართალია, თქვა, ასეთი წინ წაწეული, აქტიური დაცვა საუკეთესო ხერხად მიგვაჩნია და მას ყველა გუნდთან წარმატებით ვიყენებთო. მაგრამ ეს მეთოდი, ჩვენი აზრით, თბილისის დინამოელთა თამაშის ხასიათის გამო, სწორედ მათ წინააღმდეგ ბრძოლაშია ყველაზე ეფექტური. ეს, ცხადია, კარგადაა ცნობილი მოსკოვის არმიელთა მწვრთნელებისთვის. ამიტომ იყო, რომ მასპინძელთა სასტარტო ხეთეულის შემადგენლობაში მოულოდნელ გამოსულ კაპუსტინსა და სანაძეს მჭიდრო მეურვეობა დაუწესეს. განსაკუთრებით გულმოდგინედ კაპუსტინს დარაჯობდნენ. ჩვენმა ერთერთმა „შტატიანმა“ სნაიპერმა პირველ ტაიმში მხოლოდ ორი ქულა აიღო. მეორე ტაიმში კი მხოლოდ ერთხელ ჩააგდო ბურთი 6-მეტრიანი ზონიდან. სანაძე უფრო ზუსტი იყო (სამი 3-ქულიანი ტყორცნა), მაგრამ ჩვენმა გუნდმა მაინც ვერ მოიპოვა უპირატესობა შორიდან სროლაში. პირველ ტაიმში მეტოქეთა აქტივში ოთხ-ოთხი ასეთი ტყორცნა იყო.

ამასობაში არმიელთა ტანმაღალი მოთამაშეები „თავიანთ საქმეს“ აკეთებდნენ და მე-9 წუთისათვის ჩვენი სტუმრები დაწინაურდნენ — 26:18. მაგრამ მჭიდრო მეურვეობის დროს გუნდს დიდ ფარობაზე უხდება თავის დაცვა, მოთამაშეთა ზურგს უკან ღია რჩება „დერეფნები“, რითაც ერთხანს კარგად სარგებლობდნენ დინამოელები — ოპოშნიანი, ტიუბინი, კოლიჩევი, რომლებიც საშუალო მანძილიდან შედეგიანად უტევდნენ მეტოქის ფარს. არმიელებმაც აუბეს მხარი ამ პოზიციურ ბრძოლას და შეინარჩუნეს უპირატესობა, მით უმეტეს, რომ ტარაკანოვი და ვოლკოვი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდნენ და კარგად გადიოდნენ ჩვენს ფართან. არმიელთა ეს ტანდემი განსაკუთრებით აქტიურობდა: ვოლკოვმა პირველ ტაიმში 15 ქულა მოაგროვა, ტარაკანოვმა — 19. ანგარიშში სხვაობა თანდათან იზრდებოდა — 29:44.

დარსაძე თამაშში მერვე წუთიდან ჩაება. მართალია, ამ დროს სარბიელზე იყვნენ ტიუბინი და კაპუსტინიც — სამქულიანი ტყორცნის ოსტატები, მაგრამ ჩვენი სამეულის წინააღმდეგ არმიელთა მჭიდრო დაცვა კვლავ უწყვეტად მოქმედებდა. ამ გუნდების წინა ორ მატჩშიც, რომლებიც თბილისში გაიმართა (67:93 და 72:105), მასპინძლებმა მათთვის უჩვეულოდ ცოტა ქულა მოაგროვეს შორიდან სროლაში. თამაშის სხვა კომპონენტებში კი არმიელებს აშკარა უპირატესობა აქვთ... ტაიმიც მათ მოიგეს — 55:42.

მეორე ნახევარში, ვოლკოვის მონდომებით, ანგარიში კვლავ გაიზარდა — 67:84. დერიუგინი ერთხანს გააქტიურდა, მაგრამ არმიელებთან მატჩში ფართან ბრძოლა უძნელესი საქმეა, მით უმეტეს, რომ ვოლკოვის ნაცვლად მოედანზე გამოსული გობოროვიც მალე „გაუშინაურდა“ ჩვენს ფარს და მეორე ტაიმში 15 ქულა მოაგროვა. თამაში ლოგიკური დასასრულისაკენ მიდიოდა და თბილისელთა რიგებში ახალგაზრდა მოთამაშეები შენგელაია და ვაშაკიძე გამოჩნდნენ... მატჩის საბოლოო ანგარიშია 106:77 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ცხადია, წინასწარ ძნელი სავარაუდო იყო, რომ თბილისელები არმიელთა დამარცხებას შეძლებდნენ. და მკრთალი იმედიც მალე გაქარწყლდა. დაველოდოთ განმეორებით მატჩს მოსკოვში, სადაც წარმატების იმედი, რასაკვირველია, გაცილებით მცირეა.

გიორგი ჩოჩიშვილი.

• • •

ქიევი. აქ გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „სტროიტელსა“ და კაუნასის „ჟალგირისს“ შორის. გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს — 99:72 (41:33).

დღეს კაუნასში ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა შედგება.

რიგა. საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ვეფ-მა დონეცკის „შახტიორი“ დაამარცხა — 85:74 (50:42).

რესპუბლიკაში ფეხბურთის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა მუშაობის თვისებრივად გარდაქმნა. საფსებით სამართლიანი მოთხოვნაა და ჩვენც, ფეხბურთის მუშაკებს კარგად გვესმის, რომ სწორედ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობასა და მისი რეალიზაციის ხარისხზეა დამოკიდებული ნებისმიერი გუნდის შედეგები.

ანალიზმა ცხადყო, რომ ჩვენი ბავშვები ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით საკმაოდ კარგად არიან მომზადებული, მაგრამ რაც შეეხება მათს ფიზიკურ მომზადებას, ამ მხრივ ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტად გამოიყურებიან. გამძლეობა ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა ფეხბურთელისთვის და თუ სპორტსმენი მეორე ტაიმში დატვირთვას ვეღარ უძლებს, ცხადია, იგი ვერაა სათანადოდ მომზადებული. სწორედ ამიტომ, მწვრთნელთა კოლექტივის წინაშე ჩვენ არაერთხელ დაგვისვამს კითხვა — თუ რა საშუალებებით გადავწყვიტოთ ეს პრობლემა. „ნორჩი დინამოელის“ აღსაზრდელებთან.

ამ მიზნით შევისწავლეთ ფეხბურთის მეთოდური და სასწავლო ლიტერატურა და სპორტის სხვა სახეობების შესახებ არსებული მასალებიც. მაგრამ ამ წყაროებში ამოვიკითხეთ მხოლოდ ზოგადი რეკომენდაციები. შორიდან ძალიან გამოხატული არაა, თუ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად კვირეულ მიკროციკლში, თვიან მეზოციკლში ან მთლიანად წლიურ მაკროციკლში. შესაბამისი პერიოდების მიხედვით გვინდოდა მოგვეძებნა კონკრეტული პასუხი — რა, ან როგორ უნდა გავაკეთოთ და რას მოგვცემს იგი? პასუხი კი არსად ჩანს.

შემდეგ შევეცადეთ შეგვესწავლა ცალკეულ ცნობილ ფეხბურთელთა სპორტული ბიოგრაფიები. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა ტიგანამ. იგი წერს, რომ სხვა ფეხბურთელებს აშკარად ჩამორჩებოდა გამძლეობით და როდესაც პირველ კონტრაქტს მოაწერა ხელი, მწვრთნელებმა მას მძლეოსნობის მასწავლებელი მიუჩინეს და დაავალეს „სირბილი ესწავლებინა“. მართლაც, როგორც ტიგანა აღნიშნავს, იგი მთელი წლის განმავლობაში სწავლობდა სწორ სირბილს და ამან ბევრად განაპირობა მისი შემდგომი წარმატებანი. მაგრამ თუ როგორ ან რამდენს დარბოდა, ამის შესახებ ცნობილი ფეხბურთელი არაფერს ამბობს. ხირბილი რომ გამძლეობის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ეს ჩვენც კარგად ვიცოდით, მაგრამ ისიც გვესმოდა, რომ რბენა „ნებავე იარადია“ და თუ სამწუხაროდ სწორი სისტემა არ შეიმუშავე, უთავბოლო რბენა არამც თუ განავითარებს ორგანიზმის პოტენციალს, პირიქით, მწყობრიდანაც კი შეუძლია გამოიყვანოს სპორტსმენი. ამის მაგალითები მეთოდურ ლიტერატურაში მოყვანილია და პრაქტიკიდანაც ცნობილია. ჩვენ ვეძებდით რბენის ისეთ სისტემას, რომელიც მეცნიერულ საფუძვლებზე იქნებოდა აგებული. სწორედ ამ დროს წინადადებით მოგვმართა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის დოცენტმა მიხეილ ოყროშიძემ. მან წარმოგვიდგინა მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული სამწლიანი რბენის გრაფიკი და შემოგვთავაზა მისი პრაქტიკული დანერგვა ჩვენს ფეხბურთელებთან. რბენის გრაფიკის დეტალური გაცნობის შემდეგ დავრწმუნდით, რომ იგი საყურადღებო სისტემას წარმოადგენს. ამ სისტემაში გათვალისწინებულია ორგანიზმის ენერგოხარჯვის კანონზომიერებანი, დატვირთვის ზემოქმედება სუნთქვის გარეგან ორგანოებზე, გულსისხლძარღვთა და ქსოვილური სუნთქვის სისტემებზე, გათვალისწინებულია, აგრეთვე, რბენის სტრესული ზემოქმედება ორგანიზმზე და სტრესორებისადმი თანდათანობითი შეგუების გამომუშავება.

ვეძებთ ახალ გზებს

რადგანაც წარმოდგენილი რბენის სისტემა ფაქტობრივად სიახლეა, თავდაპირველად მთელი რიგი კითხვები დაგვებადა: ხომ არ გადაიღლებიან ბავშვები? როგორ იმოქმედებს ყოველივე ეს ძათს ჯანმრთელობაზე? გაუმჯობესდება გამძლეობა თუ არა? როგორ იმოქმედებს რბენა ფეხბურთელის ტექნიკაზე და საერთოდ, თამაშის შედეგზე? მ. ოყროშიძე ამ საკითხებზე დამაჯერებელ პასუხს იძლეოდა.

1987 წლის 31 იანვარს სკოლის ფეხბურთელთა პირველ გუნდთან გამძლეობის თვისების გამოცდა ჩავატარეთ — 3 კმ-იანი რბენა 15 წუთში. გამოცდის შემდეგ მაჯისცემის გასინჯვამ სავსებით გაამართლა მ. ოყროშიძის აზრი, რომ ტრადიციული ვარჯიშის სისტემა შესაბამისი საერთო გამძლეობის გამომუშავებას არ უზრუნველყოფს. ამის შემდეგ დავიწყეთ ვარჯიში ექსპერიმენტული რბენის გრაფიკის მიხედვით.

შედეგმაც არ დააყოვნა. უპირველესად მკვეთრად გაუმჯობესდა ფეხბურთელთა საერთო გამძლეობა. ამან დადებითად იმოქმედა მათი თამაშის ხარისხზე, განსაკუთრებით — მეორე ტაიმში. საგაზეთო წერილი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მთელი შეჯიბრების ანგარიში გავაკეთოთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ საყურადღებო ფაქტს: ჩვენი სკოლის პირველი გუნდი დაკომპლექტებულია 1971 წელში დაბადებული ბავშვებით. როგორც გამონაკლისი, ეს გუნდი დაშვებული იქნა 1987 წლის საქართველოს პირველობის II ჯგუფში დიდებში. ცნობილია, რომ ბავშვთა ფეხბურთში ორი წლის სხვაობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. და აი, ჩვენმა ბავშვთა გუნდმა 18 გუნდს შორის VII ადგილი დაიკავა და ფინალში გავიდა. როგორც ტექნიკით, ისე გამძლეობით, ჩვენი ფეხბურთელები არა-ერთ მოწინააღმდეგეს ჯერ გამოუვარდნენ წინ და ძლევამოსილად გამოვიდნენ ფინალში. ფინალურ შეხვედრაში ისინი ნამდვილად ჯობდნენ თავიანთ მეტოქეებს და მათი ამტანიანობა ტექნიკაზეც დადებით ზეგავლენას ახდენდა. ეს აიხსნება ბიოლოგიაში ცნობილი იმ ფაქტით, რომ დაღლილობა პირველ რიგში გამოწვეულია ქანგბადის მოხმარების შესაძლებლობის უკმარობით და ამის შედეგად ორგანიზმში დაგროვილი მეტაბოლური ცვლის (უჯრედშიდა ცვლა) პროდუქტების დაგროვებით. ამ პროცესების შედეგად გამომუშავებული ზედმეტი რძისმჟავა (კუნთებსა და სისხლში) არა მარტო ზღუდავს მოძრაობის კოორდინაციას (ტექნიკას), არამედ ქანგბადის უკმარობა პირდაპირ უარყოფითად მოქმედებს ფეხბურთელთა აზროვნებაზეც: ბურთის ზუსტ გადაცემაზე, ადგილის სწორად შერჩევაზე, კარგ პოზიციაში მყოფი პარტნიორის მოძებნაზე და სხვა.

ამრიგად, ექსპერიმენტული რბენის გრაფიკმა უზრუნველყო ახალგაზრდა ფეხბურთელთა საერთო ამტანიანობის ზრდა.

ამჟამად რბენის ეს გრაფიკი სკოლის ყველა ჯგუფშია დანერგილი და მწვრთნელთა კოლექტივის მოწონებასაც იმსახურებს, მაგრამ ჩვენ კვლავ სიახლეს ვეძებთ. მეორე თვისების, ე. წ. „ფეთქებადი ძალის“ განვითარებაც გვსურს. ამისათვის გვინდა გამოვცადოთ მ. ოყროშიძის ძალის განვითარების სისტემა.

დღეისათვის ექსპერიმენტული ჯგუფის ორი წევრი უკვე ჩაირიცხა თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა შემადგენლობაში. მართალია, ჩვენი მწვრთნელთა კოლექტივისთვის შეიძლება ესეც წარმატებად ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენთვის დღეს ეს საკმარისი აღარ არის. ბიბით, სასწავლო პროცესის გარდაქმნის გზით ახლო მომავალში გვსურს გავხდეთ თბილისის „დინამოს“ საიმედო რეზერვი. თუ ამ პრობლემის გადაწყვეტა შევძელით, ეს იქნება კიდეც სკოლის კოლექტივის პასუხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაზე.

ომარ უშვერიძე,
„დინამოს“ თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი,

რევაზ გაგუა,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი,

სერგო ასრესიანი,
სპორტის ოსტატი.

სარბიელზე — განათლების მუშაკები

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა აქვარის პროფკავშირების ინიციატივით ბათუმში ჩატარდა სპორტული თამაშები, რომელშიც 21 სკოლის 100-ზე მეტი პედაგოგიურ-ტექნიკური პერსონალით დაკომპლექტებული გუნდი მონაწილეობდა.

პროგრამაში ხუთი სახეობა შედიოდა: ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა და მინიფეხბურთი. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა, 26-ე საშუალო სკოლის კოლექტივმა (დირექტორი მ. ირემაძე, ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი რ. დავითაძე), მომდევნო ადგილებზე 28-ე და 24-ე საშუალო სკოლის წარმომადგენლები გავიდნენ.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ კორ.
ბათუმი.

დიდოსტატი მიიწვიეს

ამას წინათ ზესტაფონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ჭადრაკის მოყვარულებმა შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ დიდოსტატს, ესპანეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელს თამაზ გიორგაძეს.

შეხვედრა გახსნა ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯემალ გორგომემ. დიდოსტატის სპორტული მოღვაწეობის შესახებ მსმენელებს მოუთხრო რაიონის საჭადრაკო კლუბის დირექტორმა ჯემალ მახათაძემ.

თვითონ თამაზ გიორგაძემ ვრცლად ისაუბრა სევილიის მატჩის შესახებ, პასუხი გასცა მსმენელთა შეკითხვებს.

შეხვედრის დასასრულს დიდოსტატმა გამართა ერთდროული თამაში სქანსი 20 დაფაზე. მან აქ 16 პარტია მოიგო, 4 კი ყაიმით დაამთავრა.

პეტრე ნებიერიძე.
ზესტაფონი.

მოკლედ

დაიწყო თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს პროფკომიტეტის თასის გათამაშება მინიფეხბურთში. ამგვარი შეჯიბრება წელიწადს პირველად ეწყობა, ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საბინაო ექსპლოატაციო უბნების, საბინაო ექსპლოატაციო ტრესტებისა და სხვა ორგანიზაციების გუნდებს შორის. ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით ტარდება, მასში მონაწილეობს 82 გუნდი.

ლ. უურაშვილი,
თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

საქართველო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში

უსიურპრიზო ფინიში

კიევის სარბიელებზე დამთავრებული თანამედროვე ხუთჭიდელთა ზამთრის საკავშირო პირველობის ფინიში, უფრო ზუსტად კი, ბოლო ორი სახეობა — პისტოლეტით სროლა და მძლეოსნური კროსი, საკმაოდ დაძაბული და თანაბარი ბრძოლებით წარიმართა. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ მონაწილეთა პირველმა ოცეულმა საკმაოდ მჭიდრო შედეგებით დაამთავრა ეს ხუთდღიანი მარათონი.

ასპარეზობის ყველაზე გამარჯვებულმა, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ა. ავდეევმა 5.533 ქულას მოუყარა თავი. 5.491 ქულით მეორე საპრიზო ადგილზეა მოსკოველი ლ. ვიტოსლავსკი, რომელიც 3 დღეს სათავეში ედგა შეჯიბრებას. ასევე ერთი ადგილით დაიბია უკან კ. მირგოროდსკიმ, რომელიც, ასევე, კარგა ხანს ინარჩუნებდა მეორე ადგილს. მას 5.489 ქულა აქვს.

თბილისელ ხუთჭიდელ ვახტანგ იაგორაშვილს 5.234 ქულით მე-18 ადგილი ერგო.

ინფორმაცია

ეხპანეთის ქალაქ ლინარესში დაიწყო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც ერთადერთი ქალი — მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე მონაწილეობს. მაია პირველ ტურში დამარცხდა ალექსანდრ ბელიავსკისთან.

კალგარი-88

ორგზის ჩემპიონები

გუშინწინ ოლიმპიადაზე მედლების კიდევ ოთხი კომპლექტი გათამაშდა.

ფიგურულ ციგურაობაში (ცეკვები) მოულოდნელი არაფერი მომხდარა. საპრიზო ადგილები დაიკავეს იმ წყვილებმა, რომლებიც საგრძნობლად იყვნენ დაწინაურებულები სავალდებულო პროგრამის შემდეგ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამივე საბჭოთა დუეტი პირველ ექვსეულში მოხვდა, საუკეთესო შედეგი კი მთავარ ფავორიტებს ნატალია ბესტემიანოვასა და ანდრეი ბუკინს ჰქონდათ.

1. ნატალია ბესტემიანოვა — ანდრეი ბუკინი (სსრ კავშირი)—2,0

2. მარინა კლიმოვა — სერგეი პონომარენკო (სსრ კავშირი) —4,0,

3. ტრეისი უოლსხონი — რობერტ მაკოლი (კანადა) — 6,0,

4.ნატალია — ანჟნკო — გენრიხ სრეტენსკი (სსრ კავშირი) —8,0.

ბობსლეის ტრასა შეჯიბრების პერიოდში სწრაფად ჰკარგავს თავის ღირსებებს; ამის მიზეზად სპეციალისტებს მონაწილეთა სიმრავლე მიაჩნიათ (41 ეკიპაჟი). იყო აზრი შეემცირებინათ მათი რიცხვი უმთავრესად თბილი ქვეყნების წარმომადგენელთა (ვირჯინიის კუნძულები, მექსიკა, პორტუგალია და ა. შ.) ხარჯზე, მაგრამ ამ წინადადებას მხარი არავინ დაუჭირა, ვინაიდან აშკარად ეწინააღმდეგებოდა ოლიმპიურ პრინციპებს.

კალგარის ოლიმპიურ თამაშებში სულ უნდა გათამაშდეს 10481 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. ამ მედლების დამზადება საორგანიზაციო კომიტეტს ნახევარ მილიონამდე კანადური დოლარი დაუჯდა. სპორტსმენებს გადაეცემათ 432 მედალი. დანარჩენი კი დელეგაციათა ხელმძღვანელებისთვის, მწვრთნელებისთვის, მსაჯებისა და მომსახურე პერსონალისთვის არის განკუთვნილი.

ოქროს ოლიმპიური მედალი დამზადებულია ვერცხლისგან, რომელსაც ექვსი გრამი ოქრო ფარავს. ყოველი ასეთი მედლის ღირებულება 354 დოლარს შეადგენს. ვერცხლის მედალი ღირს 155 დოლარი, ბრინჯაოსი — 55.

ბიათლონისტები ამ დღეს 10 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. აქ ფავორიტებად საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის წარმომადგენლები ითვლებოდნენ. საპრიზო ადგილებიც სწორედ მათ შორის განაწილდა, მაგრამ ექვსეულში გდრ-ის ოთხი, საბჭოთა კავშირის კი ორი ბიატლონისტი მოხვდა.

განსაკუთრებით დამაჯერებელი იყო ფრანკ პეტერ რიიხის გამარჯვება, რომელმაც ერთი საჯარიმო წრის მიუხედავად ბრწყინვალედ გაიარა მთელი ტრასა და 15,6 წამით ჩამოიტოვა უახლოესი კონკურენტი ვალერი მედვედცევი.

კალგარიში ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი პირველად შეედი მოციგურავე თომას გუსტაფსონი გახდა, რომელმაც ორი სტაიერული დისტანცია (5000 და 10000 მეტრი) მოიგო, ახლა მას შეუერთდა ფრანკ პეტერ რიიხი, რომელიც აქ ბიატლონის „შეფედ“ მონათლეს. ცინვალდის სახალხო მილიციის 23 წლის ლეიტენანტმა ჯერ 20-კილომეტრიან დისტანციაზე მოიგო ოქროს მედალი, მერე კი ამ წარმატებას 10 კილომეტრზე გამარჯვებაც დაუმატა. სპეციალისტების აზრით რიიხს მესამე უმაღლესი ჯილდოს მოპოვებაც შეუძლია — ესტაფეტაში, რომელიც 26 თებერვალს უნდა ჩატარდეს.

1. ფრანკ პეტერ რიიხი (გდრ) — 25.08,1,

2. ვალერი მედვედცევი (სსრ კავშირი) — 25.23,7,

3. სერგეი ჩეპიკოვი (სსრ. კავშირი) — 25.29,4,...

9. დმიტრი ვასილიევი (სსრ კავშირი) — 26,09.7,..

17. იური კაშკაროვი (სსრ. კავშირი) — 26.49,1.

ამ დღეს ფინელი მატი ნიუკიანენიც ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი გახდა. ეს შეჯიბრება (90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა) ჯერ კიდევ 17 თებერვალს უნდა გამართულიყო. მაგრამ უამინდობის (უმთავრესად ქარის) გამო იგი ორჯერ გადაიდო. ქარი ამ დღესაც იყო, მაგრამ შედარებით უფრო წყნარი და ექსპერტებმა მცირე ყოყმანის შემდეგ შეჯიბრების ჩატარების ნება დართეს, საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა გუნდის ორივე მოთამაშე — ედუარდ სუბოჩი და მიხეილ ესინი მოხსნეს შეჯიბრებიდან, ვინაიდან მათ ქარიან ამინდში დიდი ტრამპლინიდან ხტომის გამოცდილება არ ჰქონდათ.

მატი ნიუკიანენის უპირატესობა მეტოქეებზე იმდენად დიდი იყო, რომ აქ. ფაქტიურად, ბრძოლა არც ყოფილა.

1. მატი ნიუკიანენი (ფინეთი) —224,0 ქულა (118,5 და 107 მეტრი).

2. ერიკ ენსონი (ნორვეგია) — 207,9 (114,5 და 102 მ).

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა გუნდების შეხვედრის ეპიზოდი.

საკდეს-საჭინფორმის ტელე-ფოტო.

3. მატიაუ დებელაკი (იუგოსლავია) — 207,7 (113 და 108 მ).

მოციგურავე ქალებმა მედლების მორიგი კომპლექტი 3000 მეტრზე გაითამაშეს. საბჭოთა სპორტსმენები უძლიერესთა დავაში არც ამჯერად ჩარეულან. მათ შორის საუკეთესო შედეგი (მეექვსე ადგილი) სვეტლანა ბოიკომ აჩვენა.

გამარჯვების მთავარ ფავორიტად გდრ-ის მოციგურეები ითვლებოდნენ, მაგრამ ოქროს მედალი სულ სხვას ხვდა წილად — ნიდერლანდელ ივონ ვან გენიპსს. რამდენად მოულოდნელი იყო ეს შედეგი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ახალმა ჩემპიონმა მსოფლიო რეკორდიც დაამყარა.

1. ივონ ვან გენიპი (ნიდერლანდები) — 4.11,94 (მსოფლიო რეკორდი),

2. ანდრეა ერიგი (გდრ) —4.12,09,

3. გაბი ცანგე (გდრ)—4.16,92,...

6. სვეტლანა ბოიკო (სსრ კავშირი) — 4.22,90,....

9. ელენა ტუმანოვა (სსრ კავშირი) — 4.24,07.

კალგარიში დიდი ინტერესით ელოდნენ ორჭიდელთა გუნდურ შეჯიბრებას, რომლის ერთ-ერთ ფავორიტი საბჭოთა კავშირის ნაკრები იყო. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ტრამპლინიდან პირველი ნახტომის შემდეგ ჩვენი გუნდის ლიდერმა, ტალინელმა ალარ ლევანდიმ თავი ცუდად იგრძნო და უარი თქვა მეორე ნახტომზე. გუნდის სხვა ორი წევრის გამოსვლას (ვასილი სავინი და ანდრეი დუნდუკოვი) აზრი აღარ ჰქონდა, ვინაიდან ჩათვლაში სამი სპორტსმენის შედეგი შედიოდა.

გაიმართა ჰოკეისტთა მორიგი მატჩები. IX-X ადგილების პრეტენდენტთა ავსტრიისა და პოლონეთის შეხვედრაში ავსტრიელებმა გაიმარჯვეს — 3:2. XI-XII ადგილები. ნორვეგია — საფრანგეთი 6:6 (ბულიტებით გაიმარჯვა საფრანგეთმა — 2:0).

მედლები

30 სახეობის შემდეგ მედლები დელეგაციებს შორის ასეა განაწილებული:

	ო.	ვ.	ბ.	სულ
სსრ კავშირი	8	8	6	22
გდრ	7	6	4	17
ავსტრია	3	3	1	7
ფინეთი	3	0	2	5
შვეიცია	3	0	1	4
აშშ	2	1	1	4
შვეიცარია	1	4	2	7
ნიდერლანდები	1	2	2	5
გფრ	1	1	1	3
საფრანგეთი	1	0	1	2
ნორვეგია	0	3	1	4
კანადა	0	1	3	4
ჩეხოსლოვაკია	0	1	2	3
იტალია	0	0	1	1
იაპონია	0	0	1	1
იუგოსლავია	0	0	1	1

პოზაიკა

რეკორდების მხრივ ყველაზე უხვმოსავლიანი იყო ბიატლონისტთა შეჯიბრება 10 კილომეტრზე. ოლიმპიური რეკორდი, რომელიც 4 წლის წინ ნორვეგიელმა ერიკ კვალფოსმა დაამყარა (30.53,8) ერთბაშად 55-მა მონაწილემ გააუმჯობესა.

კალგარის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონმა ფინელმა ტრამპლინიდან მხტომელმა მატი ნიუკიანენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მონაწილეობას არ მიიღებს არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში, სანამ არ დაზუსტდება მათი ჩატარების წესები. როგორც ცნობილია, ნიუკიანენს ეკუთვნის ტრამპლინიდან ხტომის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი — 191 მეტრი.

მოულოდნელად დასრულდა 31 წლის იუგოსლავიელი სამთო-მოთხილამურის ბოიან კრიჟაის სპორტული კარიერა. 1987 წლის მსოფლიო თასის მფლობელი სლალომში ოლიმპიადის დედაქალაქს ესტუმრა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, მაგრამ საწვრთნელი ვარჯიშის დროს დაშავდა და ექიმების დასკვნით დიდხანს ვეღარ დადგება თხილამურებზე.

ევროპის კალათბურთის მოედნებზე

იუგოსლავია

როგორც ვიუწყებოდით, ჩინებულად აიღო სტარტი ქვეყნის ჩემპიონატში სპლიტის „იუგოპლასტიკამ“. პირველი წრის შემდეგ მას საუცხოო შედეგი ჰქონდა — 11 თამაში, 11 გამარჯვება. წარმატებათა ეს სერია „იუგოპლასტიკამ“ მეორე წრეშიც განაგრძო და XIII ტურში საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა „ბუდუნჩნოსტთან“ — 97:81. დიწო რაჯამ გუნდს შესძინა 23 ქულა. ყველას მიაჩნდა, რომ „იუგოპლასტიკის“ ტრიუმფალურ სვლას შეაჩერებდა „ციბონა“. მით უმეტეს, რომ მათი მატჩი ზაგრებში მოეწყო. ლიდერთა შეხვედრამ, ბუნებრივია, დიდი ინტერესი გამოიწვია და მას 7000 მაყურებელი დაესწრო. როგორც ზაგრების „სპორტსკიე ნოვოსტის“ მიმომხილველი ბერტიჩევიჩი იტყობინება, ეს იყო ძალზე დაძაბული და დრამატული მატჩი. პირველ ტაიმში მცირე უპირატესობა ჰქონდა „ციბონას“ — 39:34. მაგრამ სტუმრებმა შეძლეს მეტოქეთა სნაიპერების უვნებელყოფა. ორთაბრძოლის უკანასკნელ წუთზე „იუგოპლასტიკას“ წევრის დუშან ივკოვიჩის ზუსტი სროლის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 75:75. დაინიშნა დამატებითი დრო. თამაშის დამთავრებამდე 40 წამით ადრე პერაზოვიჩმა მიიღო მე-5 პერსონალური შენიშვნა. წინ „ციბონაა“ — 86:84. სუნარა უარს ამბობს საჯარიმო სროლებზე, მასპინძლებმა ბურთი გაათამაშეს, მაგრამ ცვეტიჩანინის სროლა არაზუსტი აღმოჩნდა. სტუმრების სწრაფი კონტრშეტევა კი ზუსტი სამქულიანი სროლით დააგვირგვინა სრეტენოვიჩმა — 87:86, გაიმარჯვა „იუგოპლასტიკამ“. შემდეგ ტურში მან კიდევ ერთი ლამაზი გამარჯვება მოიპოვა „პარტიზანთან“ შეხვედრაში და უდანაკარგოდ, 15 ქულით ლიდერობს ჩემპიონატს.

იტალია

20 ტურის შემდეგ 32 ქულით წინაა „დივარესე“, მეორე ადგილზეა „სნაიდერო“ (30), მესამეზე — „ტრეისერი“ (28). მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფენ „დიეტორი“ და „სკავოლინი“ (26-26), მეექვსე ადგილზეა „არექსონი“ (24).

ჩემპიონატის პირველი წრე კაზერტის „სნაიდეროს“ დამაჯერებელი გამარჯვებით აღინიშნა — 15 შეხვედრიდან 26 ქულა. მეორე წრის სტარტზე „სნაიდერომ“ ორჯერ წაიფორხილა. ჯერ XVI ტურში დამარცხდა „ვუბერთან“ — 81:86, ხოლო შემდეგ (XVIII ტურში) დიდი ანგარიშით წააგო შეხ-

ვედრა მილანში „ტრეისერთან“ — 96:116. ვენეციაში ოსკარ შმიტის (56 ქულა) ბრწყინვალე თამაშის წყალობით, „სნაიდერომ“ დაამარცხა „ჰიტაში“ — 124:98. ბოლო, XX ტურში „სნაიდერომ“ საკუთარ მოედანზე სძლია „ბრეშიას“ — 120:115. ამასობაში ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა „დივარესემ“ და სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს. („ბანკა დი რომასთან“ — 86:81, კანტუში „არექსონსთან“ — 92:84, „რომერტასთან“ — 119:95. „სანბენედიტოსთან“ — 81:80). იტალიელ მიმომხილველთა აზრით, ბოლო ტურებში შესამჩნევად აიმაღლა თამაშის კლასი „ტრეისერმა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამარჯვება პესაროში „სკავოლინისთან“ — 112:109. XX ტურში „ტრეისერმა“ დიდი ანგარიშით დაამარცხა „ალმერიტი“ — 117:84.

ესპანეთი

ამ ქვეყნის ჩემპიონატი სულ სხვა ფორმულით ტარდება. პირველ ეტაპზე 16 უძლიერესი გუნდი ორ ჯგუფად იყოფა. ჯგუფებში პირველ მეოთხე ადგილზე გასული გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ჩემპიონის ტიტულისათვის. წინასწარი თამაშების შემდეგ გადამწყვეტ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს ფავორიტებმა: მადრიდის „რეალმა“, „ბარსელონამ“, „ჰუვენტუდ ბადალონამ“, კაი სარაგოსამ, „ესტუდიანტესმა“, „ფორუმა ფილატელიკომ“.

უძლიერესთა შეხვედრებში პირველი მოულოდნელობა იყო მადრიდის „რეალის“ დამარცხება „ესტუდიანტესთან“. როგორც ზაგრების „სპორტსკიე ნოვოსტი“ აღნიშნავს, ამ მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა ხოსე ბირიუკოვის 5 პერსონალური შენიშვნა. ამის შემდეგ „რეალმა“, რომელიც მატჩს იგებდა 45:33, თანდათან დათმო ინიციატივა და დამარცხდა — 71:77. ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა „ბარსელონამ“. „მაგია ჰესკუსთან“ — 105:83. კაი სარაგოსასთან — 113:84, „ფორუმა ფილატელიკოსთან“ — 87:80. „ჰუვენტუდ ბადალონამ“, ჯორდი ვილკამპას (29 ქულა) სნაიპერული სროლების შედეგად, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა კაი სარაგოსასთან შეხვედრაში — 91:69.

ბოლო ტურის შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში იყო ფავორიტების — მადრიდის „რეალისა“ და „ბარსელონას“ ორთაბრძოლა. „რეალმა“ ძნელი გამარჯვება მოიპოვა — 85:80. ფ. მარტინმ გუნდს შესძინა 21 ქულა, ხოლო ბრანსონმა — 18. „ჰუვენტუდ ბადალონამ“ (91:81) სძლია „მაგია პეკუს“. ვილკამპამ თავის გუნდს 29 ქულა შესძინა. „ესტუდიანტესმა“ მოუგო „ფორუმა ფილატელიკოს“ — 86:79. ესპანეთის ჩემპიონატს „რეალი“ და „ბარსელონა“ ლიდერობენ.

მერაბ კალანდაძე

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10656

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბოშარაულის ქ. 29. უე 10676